საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

01.09.2023

N 1616

1616-09-02-11-3-
202309011347

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/52, 10.08.2023)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა 2023 წლის 1 სექტემბრის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განიხილა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/52, 10.08.2023).

I. კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ 2019 წლის 31 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმების (ვალიდაციის შეთანხმება) ძალაში შესვლისთვის აუცილებელი ვალდებულების შესასრულებლად საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 16 მაისს შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს საპატენტო კანონში, ასევე საქართველოს საპატენტო კანონი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროპის საპატენტო კონვენციასთან (EPC), ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან და საპატენტო კანონის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებასთან (PLT).

საქართველოს საპატენტო კანონში განხორციელებული ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, შეიცვალა სასარგებლო მოდელის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტის სახელი და პატენტის ნაცვლად სასარგებლო მოდელის რეგისტრაციის შემთხვევაში გაიცემა მოწმობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილება განიცადა „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონმაც, რომლითაც იგი შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს საპატენტო კანონის ახალ რეგულაციებთან.

II. კანონის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით წამყვან კომიტეტში შენიშვნები და წინადადებები არ არის წარმოდგენილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, კანონპროექტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. კანონის პროექტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

კომიტეტი დადებითად აფასებს წარმოდგენილ კანონპროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძის და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,
ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე